# საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში



გრაფიკის დიდი გასწრებით ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს გურჯაან—თელავის ელექტროფიცირებული გზა. კახეთის მცხოვრებლები დიდი სიხარულით შეხვდნენ პირველ ელექტრომატარებელს.

სურათზე: პირველი ელექტრომატარებელი თელავში.

ფურცელი 1

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი უნივერსალური მაღაზია მახარაძეში.



განუწყვეტლივ ფართოვდება სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელი, მწყობრში დგება ახალი მაღაზიები, სასადილოები, კაფეები. იზრდება მომხმარებელთა მომსახურეობის კულტურა.



დამთავრდა კაფე—რესტორანის მშენებლობა შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში —ციხისძირში.

ახალი კაფე „მერცხალი“ ქუთაისში





ა. როგავას ბიუსტი



ბიუსტების გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგის მონაწილენი



თ. ყუფუნიას ბიუსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში დაიდგა ორგზის სოციალისტური შრომის გმირების ანთიმოზ როგავასა და თამარ ყუფუნიას ბრინჯაოს ბიუსტები.



თ. ყუფუნია და ა. როგავა

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



წყალტუბოს ქართული საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე კომკავშირელებმა დარეჯან საყვარელიძემ და ნაზიბროლა ლეკვთაძემ გადაწყვიტეს ამ ზაფხულს არდადეგებზე ავტომანქანით იმოგზაურონ რესპუბლიკის ღირსშესანიშნავ ადგილებში. გოგონებმა შეადგინეს ტურისტული მოგზაურობის მარშრუტი.

სურათზე: დ. საყვარელიძე (მარცხნივ) და ნ. ლეკვთაძე აზუსტებენ მოგზაურობის მარშრუტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფელ ყაზბეგის წიგნის მაღაზიაში. გამყიდველი ს. ბელაძე ესაუბრება მყიდველებს

საინტერესო და მრავალფეროვანი მუშაობა წარმოებს რესპუბლიკის სოფლის ბიბლიოთეკებში. ბიბლიოთეკებში რეგულარულად იმართება მკითხველთა კონფერენციები, ეწყობა ახალი წიგნების გამოფენები. ადგენენ ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგის მიხედვით. წიგნის ფონდების შევსებაში ბიბლიოთეკებს დიდ დახმარებას უწევენ სოფლის მაღაზიები.



ცხაკაიას რაიონის სოფელ მენჯის ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკარი დოდო ჯორჯიკია (მარჯნივ) წიგნს აძლევს ზოოტექნიკოს ლუიზა ბაკურაძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყვარჩელის მაღაროელთა კულტურის სახლი მშრომელთა დასვენების საყვარელი ადგილია. ტყვარჩელელმა მშრომელებმა შეიყვარეს და ხშირად ესწრებიან სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის, ქორეოგრაფიული კოლექტივების, აფხაზური სახალხო თეატრის, ახალგაზრდული საესტრადო ორკესტრის კონცერტებს.

სურათზე: საესტრადო ორკესტრი ახალ პროგრამას ამზადებს. ანსამბლის სოლისტი, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მუშაკი ლიდია შოლოხოვა ორკესტრის თანხლებით სწავლობს ახალ სიმღერას.



საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გივი ღლონტი



ბამბუკის საუკეთესო დამზადებელი გივი ხარბედია

ბევრი სასახელო საქმე შეასრულეს ფოთის მეთევზეობის კოლმეურნეობა „კოლხეთის" მშრომელებმა. აქ განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ბრიგადები, რომლებსაც სერგი კეკელია და გივი ღლონტი ხელმძღვანელობენ.



სერგი კეკელია

საქღესის ფოტოქრონიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



არაჩვეულებრივ ამბავს ნახავდით ერთ-ერთ საყვავილე ორანჟერეაში ბათუმის განაპირას. საღამოს ბინდში ყვავილობა დაიწყო გველისებრმა კაქტუსმა ცერეუსმა. თითქმის მნახველთა თვალწინ, სიბნელეში გაიშალა დიდი ყვავილი, რომელიც თეთრ ოქროსფერ ვარსკვლავს გავდა. ეს ერთ-ერთი ულამაზესი ყვავილია მსოფლიოში. იგი ღამით იშლება და დილით ჭკნება.

სურათზე: ცერეუსის აყვავებას თვალს ადევნებს მოყვარული მეყვავილე ლუდმილა კურჩევა.

 საქდესის ფოტოქრონიკა




კურორტ წყალტუბოში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ავტოსადგური. ახლა წყალტუბოს მუდმივი საავტობუსო მიმოსვლა აქვს რესპუბლიკის ყველა კურორტთან, აგრეთვე სოჭთან.

სურათზე: ახალი ავტოსადგურის შენობა წყალტუბოში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის პრეციზიული სახეხი ჩარხების საკონსტრუქტორო ბიუროში იქმნება ათი ახალი მოდელის ჩარხები. ახალ ჩარხებს ფართოდ გამოიყენებენ მრეწველობის ბევრ დარგში, განსაკუთრებით ხელსაწყოთმშენებლობასა და ზუსტ მანქანათმშენებლობაში.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): პრეციზიული სახეხი ჩარხების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ს. თათრიშვილი, ჯგუფის ხელმძღვანელი რ. მანუკიანი და განყოფილების გამგე გ. შელიავა იხილავენ ახალი ავტომატი ჩარხის პროექტს.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველი ოპერაცია ახალ საავადმყოფოში, ოპერაციას აკეთებენ (მარცხნიდან მარჯვნივ): ქირურგი ა. ყორღანოვი, განყოფილების გამგე ნ. გონჩაძე, მთავარი ექიმი გ. გიგაური

**შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს თეთრი წყაროს მშრომელებმა—საექსპლოატაციოდ გადაეცა 100-საწოლიანი ახალი საავადმყოფო-პოლიკლინიკა.**



თეთრი წყაროს ახალი საავადმყოფო-პოლიკლინიკის საერთო ხედი




რაიონულ ცენტრ ზუგდიდში დამთავრდა საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობა. ბაზარს აქვს ბოსტნეულისა და ხილის საცავები, სამაცივრო დანადგარები, რადიოკვანძი, კაფე-სასაუზმე.

სურათზე: ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის ახალი შენობა.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოთის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი უბანი



ქალაქ ფოთის ახალი რაიონი—ნიკოლაძის სანაპირო

ყოველწლიურად იზრდება და ლამაზდება ქალაქი ფოთი, სწრაფად ფართოვდება მისი საზღვრები. აქ, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჭაობი იყო, აშენდა ახალი კეთილმოწყობილი სახლები, კინოთეატრები, საავადმყოფოები, შენდება ახალი საცხოვრებელი უბნები.

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბავშვო ბაღის აღმზრდელი ბალი-ნა სამსონის ასული ჩხარტიშვილი თავის აღსაზრდელებს შორის

ამ დღეებში, როდესაც ათასობით მშრომელი გავიდა პლანტაციებში ჩაის ფოთლის საკრეფად, სოფლებ-ში გაიხსნა სეზონური საბავშვო ბაღები და ბაგები. სამუშაოზე წასვლისას დედები როდი ღელავენ, მათი ბავშვები დილიდან საღამომ-დე მზრუნველი აღმზრდელების ხელ-ში არიან.

ქობულეთის რაიონის სოფელ ქვე-და ულიანოვკის საბავშვო ბაღში



ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდი პოპულარობა მოიპოვა ჭიათურის მაღაროელთა ხალხური ცეკვის ანსამბლმა, ახალგაზრდა შემოქმედებითი კოლექტივის რეპერტუარშია საქართველოსა და ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა ცეკვები.

სურათზე: ჭიათურის მაღაროელთა ხალხური ცეკვის ანსამბლის მონაწილენი მ. მოდებაძე (მარცხნივ) და რუსუდან ციუმა.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხა ცხაკაიას სახლ-მუზეუმი

ქალაქ ცხაკაიაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის მიხა ცხაკაიას სახლ-მუზეუმი.

სახლ-მუზეუმის გახსნაზე შეიკრიბნენ რაიონის ყველა სოფლის, რესპუბლიკის ბევრი რაიონისა და ქალაქის, აგრეთვე მოსკოვისა და თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები.



სახლ-მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორც დიდი ზეიმისათვის, ეროვნული კულტურის ნამდვილი დღესასწაულისათვის ემზადება ქართველი ხალხი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის, რომელიც 1966 წლის სექტემბერში აღინიშნება. საიუბილეო კომიტეტის გადაწყვეტილებით გამოცხადებულია კონკურსი რუსთაველის ძეგლის აგებისათვის. ახლა ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატები თავიანთ ახალ ნამუშევრებში აცოცხლებენ პოეტის სახეს, მისი უკვდავი პოემის გმირებს.

სურათზე: ქუთაისელი მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე შოთა რუსთაველის ბიუსტზე მუშაობის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი სასტუროს შენობა ქალაქ ჭიათურაში ლენინის ქუჩაზე

კიდევ ერთმა ლამაზმა შენობამ დაამშვენა ქართული მარგანეცის ქალაქი—ჭიათურა. აქ, ლენინის ქუჩაზე აშენდა 200-ადგილიანი კეთილმოწყობილი სასტუმრო. სასტუმროს პირველ სართულზე არის 100-ადგილიანი რესტორანი.

ახალი სასტუმროს რესტორანის დარბაზში



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლანჩხუთი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო რაიონის ცენტრია. უკანასკნელ წლებში აქ აშენდა ბევრი ახალი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა. კეთილმოწყობილი გახდა ქუჩები. გაშენდა სკვერები.

სურათზე: ლანჩხუთის ცენტრალური მოედნის ერთ-ერთი კუთხე.



ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთის მცხოვრებმა დალი ნანეიშვილმა სამი ტყუპი შობა. ტყუპებს დაარქვეს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გმირების სახელები—ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. აღსანიშნავია, რომ თვით დალი ტყუპის ცალია, ახლა კი თვითონ გახდა ტყუპების დედა.

სურათზე: დედა ნანეიშვილი თავის პატარებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იზრდება და ლამაზდება ქალაქი სამტრედია. სურათზე თქვენ ხედავთ ლენინის ქუჩას. მარცხნივ—სამტრედიის რკინი-გზის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესკალატორები „მარჯანიშვილის მოედანზე“

მზარდი ტემპით მიმდინარეობს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა. მეტროპოლიტენის ზოგიერთი უბანი უკვე მზად არის საექსპლოატაციოდ. სადგურ „მარჯანიშვილის მოედანზე“ მზად არის ზემო ვესტიბიული.



ერთ-ერთი შახტის უფროსი გ. ბაფრინდაშვილი



მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები (მარცხნიდან მარჯვნივ): ზ. ბოლოტინი, ა. ზახაროვი, ა. აზანოვი



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხევსურეთის შორეული სოფლებიდან ჩამოვიდნენ მთიელები და დასახლდნენ სამგორის მიწაზე. მთავრობამ თითოეულ დასახლებულ ოჯახს ცალკე მისცა კეთილმოწყობილი სახლი, შეღავათიანი კრედიტები. ხევსურები ბეჯითად შრომობენ ყანებსა და ვენახებში.

მექანიზატორი მიხეილ ჭინჭარაული ზედმიწევნით დაეუფლა რთულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას



გარდაბნის მებოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მებოსტნეები, ხევსურები მარინე (მარცხნივ) და ელისო ჭინჭარაულები. ისინი შრომას წარმატებით უხამებენ სოფლის ახალგაზრდობის სალამოს სკოლაში სწავლას



საქდესის ფოტოქრონიკა



ასობით ტურისტი ჩამოდის ყოველწლიურად აფხაზეთში. ბევრი მათგანი წარმტაცი მთის უღელტეხილების „დასალაშქრად“ მიდის, სხვები ისტორიულ ადგილებში მოგზაურობენ, მაღალი მთის ტბების, სტალაქტიდების გამოქვაბულის სანახავად მიდიან. ახლა დიდი გამოცოცხლებაა სოხუმის ტურბაზა „სინოპში“. აქ შვებულებას ატარებს 300-ზე მეტი კაცი.

სურათზე: ტურბაზა „სინოპის“ ერთ-ერთი კუთხე.



საქდესის ფოტოქრონიკა